ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

№ 43 (1213) | ხუთშაბათი, 10 აპრილი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.





ს უ რ ა თ ზ ე: ლიტვისა და საქართველოს მძლეოსანთა მატჩი. მარცხნივ: საქართველოს მძლეოსნები ცოცხალ ყვავილებს გადასცემენ სტუმრებს. ზევით — ლიტვისა და საქართველოს მძლეოსნები, მარჯვნიდან — ა. ვეიკელაიტე, ლ. სესაძე, ი. ლაუხიტი, მ. ნედელია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## დიდი მატჩი

## ანგარიშია 9:5

8 აპრილს მოსკოვის თეატრალურ-საკონცერტო დარბაზში შედგა XIV პარტია, რომელშიც თეთრებით ბოტვინიკი თამაშობდა.

მეტოქეებმა გაითამაშეს ინგლისური დაცვა. ექვსი სვლის შემდეგ დაფაზე გამეორდა პოზიცია X პარტიიდან, რომელშიც ბოტვინიკმა თამაშის პასიური გეგმა აირჩია. ახლა მან უფრო აქტიური გაგრძელება მონახა და ეტლით დაეუფლა ნახევრადგახსნილ ხაზს.

ფიგურათა განვითარების დამთავრებისას სმისლოვმა გონებამახვილურად შეწირა პაიკი. სმისლოვმა ისარგებლა ექს-ჩემპიონის ნაკლებად საქმიანი მე-14 სვლით და თავისათვის ხელსაყრელი გაცვლები დააჩქარა. შექმნილ დაბოლოებაში, რომელშიც თვითეულ მოწინააღმდეგეს თითო ეტლი, კუ და ექვს-ექვსი პაიკი დარჩა, სმისლოვის შანსები უკეთესი იყო.

მსოფლიო ჩემპიონი აღიარებულია დაბოლოებათა გათამაშების ვირტუოზად. მაგრამ მატჩ-რევანშში მან ნაქები ოსტატობა ვერ გამოავლინა. ასე მოხდა ამ პარტიაშიც. უპირატესობა სმისლოვმა არამცთუ ვერ გაადიდა, არამედ უარესი პოზიციაც მიიღო. ნაცვლად აქტიური თამაშისა ლაზიერის ფრთაზე, სადაც მას სამი პაიკი ჰქონდა ორის წინააღმდეგ, მან ბრძოლა გააჩაღა მეორე ფრთაზე, სადაც ბოტვინიკს საკმარისი ძალები ჰყავდა შეტევის მოგერიებისათვის.

პარტიის გადადების წინ ბოტვინიკის ეტლი შეიჭრა მსოფლიო ჩემპიონის ბანაკში. ახლა გადადებულ პოზიციაში ბოტვინიკი იგებს პაიკს. მაგრამ საკმარისია თუ არა იგი გამარჯვებისათვის, ამას ბოტვინიკის გულდასმითი ანალიზი უჩვენებს.

გუშინ შედგა გადადებული პარტია, რომელიც 68-ე სვლაზე დამთავრდა მ. ბოტვინიკის გამარჯვებით. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 9:5 ექსჩემპიონის სასარგებლოდ.

## ჩვენი მოჭიდავეები ამერიკაში

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების მთელს სპორტულ საზოგადოებრიობაში უდიდეს ინტერესს იწვევს საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ვიზიტი. სტუმრებს ყველგან გულთბილად და მეგობრულად ხვდებიან. საინტერესო შეხვედრა მოეწყო, მაგალითად, სპორტულ ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტედის" რედაქციაში.

11 აპრილს საბჭოთა მოჭიდავეები გამოვლენ ნორმანში, 12 აპრილს — სტილუოტერში, 15 აპრილს — ტალსაში, ხოლო 17 აპრილს უკანასკნელ შეხვედრას გამართავენ ნიუ-იორკში.

## ახალი მსოფლიო რეკორდი

ამ დღეებში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ამერიკელმა სპორტსმენმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. ორტერმა. ფაიეტვილში გამართულ შეჯიბრებაზე (არკანზასის შტატი) მან ბადრო ტყორცნა 61 მეტრსა და 73 სანტიმეტრზე. ძველი რეკორდი ეკუთვნოდა აგრეთვე ამერიკელ მძლეოსანს ფ. გორდიენს და უდრიდა 59 მეტრსა და 28 სანტიმეტრს.

## მოწინავე რაზმი

15 აპრილს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მუშაობას დაიწყებს საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XIII ყრილობა, რომელიც შეაჯამებს წინა, XII ყრილობიდან განვლილ პერიოდში კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს, დასახავს ახალ სერიოზულ ამოცანებს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მათი მონაწილეობის შესახებ ჩვენი ქვეყნის მძლავრად განვითარების საქმეში. წინა ყრილობიდან გასულ 4 წელიწადში ჩვენს ქვეყანაში მოხდა უდიდესი ცვლილებები, რომლებმაც უზრუნველყვეს ჩვენი სახელმწიფოს კიდევ უფრო მძლავრი წინსვლა, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცება. ამ ფრიად მნიშვნელოვან და საბჭოთა ქვეყნისათვის სასიცოცხლო საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანა ჩვენმა ახალგაზრდობამ.

ჩვენი ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი — საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი იყო და არის სახელოვანი კომუნისტური პარტიის უერთგულესი თანაშემწე, მისი ყველა გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განუხრელად გამტარებელი. სოციალისტური სამშობლოსადმი, პარტიისადმი უსაზღვრო თავდადება, სიყვარული — აი, რა ახასიათებს საბჭოთა ახალგაზრდობას და ამიტომ იყო, რომ პარტიის პირველსავე მოწოდებაზე ასი ათასობით გოგონა და ჭაბუკი ჩვენი სახელმწიფოს ყველა კუთხიდან ერთსულოვნად გაემგზავრა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, გმირული, შეუპოვარი შრომით შექმნა სახალხო დოვლათი, გაამართლა ის ზრუნვა რომელსაც მას უწევენ დიადი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანაში მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობაში, უძლიერესი სპორტსმენების აღზრდისა და მათი იდეურ-პოლიტიკურად გაკაჟების საქმეში დიდ მუშაობას ატარებს კომკავშირი. ლენინური კომკავშირის ინიციატივით ხომ საფუძველი ჩაეყარა მშთ კომპლექსს, კომკავშირის ინიციატივით გაიხსნა და მუშაობა დაიწყო ახალგაზრდობისა და ბავშვთა სპორტულმა სკოლებმა. აქ ასობით შესანიშნავი სპორტსმენი აღიზარდა, რომლებმაც კიდევ უფრო მაღლა აღმართეს საბჭოთა სპორტის დიდების დროშა. კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობით ეწყობა მრავალი მასობრივ-სპორტული ღონისძიება — კროსები, სათხილამურო გადასვლები, ლაშქრობები და სხვ. კომკავშირული ორგანიზაციები პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად იბრძვიან ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობისათვის.

ყველა ქვეყნის გოგონები და ჭაბუკები სამართლიანად თვლიან კომკავშირს მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის მოწინავე რაზმად, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის მუშაობაში, რაც დღე გადის მით უფრო ამტკიცებს კავშირს საზღვარგარეთელ მეგობრებთან.

თავისი არსებობის 40 წლის განმავლობაში, რომლის სახელოვანი თარიღი მიმდინარე წელს აღინიშნება, ლენინურმა კომკავშირმა მოიპოვა საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარული. საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გმირობისა და თავდადების გამოჩენისა და კომუნისტური მშენებლობის საქმეში გმირული შრომისათვის საბჭოთა სახელმწიფომ ლენინური კომკავშირი დააჯილდოვა 5 ორდენით.

ლენინური კომკავშირის 40 წლისთავის ზეიმისათვის გაცხოველებით ემზადებიან კომკავშირული ორგანიზაციები, ჩვენი ქვეყნის გოგონები და ჭაბუკები. ამ სახელოვანი თარიღის აღსანიშნავად მძლავრი სოციალისტური შეჯიბრებაა გაშლილი ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების ახალგაზრდებს შორის, რომელთაც გადაწვეტილი აქვთ ახალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ საბჭოთა ახალგაზრდობის ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს. ამ თარიღს მიეძღვნა მრავალი საინტერესო ღონისძიება-სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები, გადასვლები, მათ შორის ერთ-ერთი საინტერესო იქნება კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი დოსააფის საკავშირო სპარტაკიადა.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — დიადი კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს, მისი ყველა გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განუხრელად გამტარებელს!

ახალი წარმატებებისათვის კომკავშირელო ჭაბუკებო და ქალიშვილებო!

## რევანში შედგა

### სსრ კავშირის 1958 წლის პირველობა წყალბურთში

როგორც ვიუწყებოდით, 6 აპრილს მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში, რომელშიც მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის 12 უძლიერესი კოლექტივი. გათამაშების ალამი აღმართა გასული წლის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოს" კაპიტანმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა პ. მშვენიერაძემ. წინა ნომერში დაბეჭდილი გვქონდა პირველი დღის 5 მატჩის შედეგი. ამ დღეს უკანასკნელი შეხვედრა იყო თბილისის „დინამოსა" და წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის (ბაქო) გუნდების მატჩი. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე გამარჯვება მოიპოვეს აზერბაიჯანელმა სპორტსმენებმა. ამიტომ თბილისელები თამაშზე რევანშის აღების რწმენით გამოვიდნენ (კლიმენკო, ავანესიანი, ზ. ჩაჩავა, ბართაევი, მეგედი, გვახარია, ჩხიკვაძე). თამაშის პირველსავე წუთებზე გამოვლინდა დინამოელთა ტაქტიკური და ტექნიკური უპირატესობა, რასაც მეტოქემ უხეში თამაშით უპასუხა. ამის გამო მსაჯმა რუდნევმა (ლენინგრადი) თამაშიდან გააძევა ერთ-ერთი ბაქოელი მცველი. რიცხობრივი უპირატესობა კარგად გამოიყენეს თბილისელებმა — გვახარიამ უძლიერესი დარტყმით ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში გახვია. მალე ბაქოს გუნდმა განახორციელა კომბინაცია, რომელიც კარის აღებით დამთავრდა. — 1:1. მე-6 წუთზე თბილისელებს ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ჩხიკვაძემ ვერ გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნა. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე ჩხიკვაძემ გამოიყიდა თავისი „დანაშაული" და ძნელი მდგომარეობიდან ბურთი მოწინააღმდეგის კარში გაგზავნა. ამის შემდეგ ფლოტელმა სპორტსმენმა საპასუხო ბურთი გაიტანა და ანგარიში გახდა 2:2. ბურთი გაიტანა კუზნეცოვმა. როცა თამაშის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, ჩხიკვაძემ კვლავ გაიტანა გოლი —3:2. ეს ანგარიში მატჩის ბოლომდე არ შეცვლილა და თბილისელმა წყალბურთელებმა მოიგეს მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა.

მორიგი შეხვედრა თბილისის დინამოელებს ჰქონდათ ლვოვის თანაკლუბელებთან. თამაშის დასაწყისში ტექნიკური შეცდომისათვის მსაჯმა ბლიუმენტალმა (მოსკოვი) თბილისელთა მეკარე კლიმენკო გააძევა თამაშიდან. მაგრამ ლვოველებმა ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, პირიქით, მათი კარი ორჯერ გადარჩა აშკარა გოლს. თუმცა მე-5 წუთზე ლვოველებმა მაინც შეძლეს ანგარიშის გახსნა — 1:0. იმავე წუთზე გვახარიამ 4-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნიდან თითქმის აუღებელი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში და ანგარიში გათანაბრდა — 1:1. შესვენებამდე ჩხიკვაძემ ანგარიში კიდევ ერთი ბურთით გაზარდა — 2:1.

თამაშის მეორე ნახევარში ჩიქვანაია გაიჭრა წინ და მესამე ბურთი გაგზავნა ლვოვის „დინამოს" კარში. თბილისელებმა კვლავ 2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში. საქართველოს მეორე გუნდი — „ბურევესტნიკი" შეხვდა მოსკოვის „ტორპედოს". ბურევესტნიკელებმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი კარის მისადგომების დაცვა, ისინი უმთავრესად შეტევებით იყვნენ გატაცებული, რითაც კარგად სარგებლობდნენ მოსკოველები და მოიგეს მატჩი — 9:2. წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის" თამაში დამთავრდა ფრედ—3:3. გათამაშების ცხრილში 2-2 ქულა ჩაიწერეს მოსკოვის გუნდებმა — „დინამომ" და ცსკ მო-მ, რომლებმაც დაამარცხეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი).

გ. გვაზავა,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

# ვემზადებით სტუდენტთა თამაშებისათვის

## დაკომპლექტდა გუნდები, წვრთნა მიმდინარეობს

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკურ სპარტაკიადებზე ყოველთვის საპრიზო ადგილზე გამოდიოდა. წელს ჩვენ უდავოდ უფრო მკაცრი გამოცდების წინაშე ვდგევართ, ვიდრე ოდესმე. წინათ გვიხდებოდა მონაწილეობის მიღება საქართველოს პედაგოგიურ ინსტიტუტებთან, წელს კი „ბურევესტნიკი" 10-14 მაისს თბილისში ატარებს სპარტაკიადას ფართო მასშტაბით.

სპარტაკიადის მონაწილე უმაღლესი სასწავლებლები დაყოფილია 3 ჯგუფად. ჩვენ მეორე ჯგუფში ვმონაწილეობთ. გარდა პედაგოგიური ინსტიტუტების ძლიერი გუნდებისა, შეხვედრა მოგვიხდება სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების ძლიერ გუნდებთან. ბუნებრივია, რომ ეს მდგომარეობა გვავალებს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით და მონდომებით მოვკიდოთ ხელი სპარტაკიადისათვის მზადების საქმეს.

წლევანდელი სპარტაკიადა თავისი შინაარსით მეტად საპასუხისმგებლოა. თუ წინათ პედაგოგიური ინსტიტუტების შეჯიბრების პროგრამაში იყო სპორტის 4 ან 6 სახეობა და მონაწილეობდა 40-46 სპორტსმენი, ამჟამად სპარტაკიადის დებულება ითვალისწინებს სპორტის 10 სახეობას 99 კაცის მონაწილეობით

ფრიად სასურველი იყო და შედეგიც უკეთესი გვექნებოდა, რომ სპარტაკიადის ჩატარების შესახებ სასწავლო წლის დასაწყისიდანვე გვქონოდა ცნობა. ეს თავის მხრივ, კიდევ უფრო ხელს შეუწყობდა გუნდების დროულად დაკომპლექტებას, უფრო მაღალხარისხოვანს გახდიდა მათს მზადებას. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ მომავალი სპარტაკიადა იწვევს გაუთვალისწინებელ ხარჯებს. საჭიროა ინვენტარის, ფორმების შეძენა. ინსტიტუტს საშუალება არა აქვს გაიღოს სათანადო ხარჯი, თუ მას დამატებითი სახსრები არ მისცეს. დაფინანსების საკითხი საერთოდ აუცილებლად უნდა იქნას გადაწყვეტილი.

ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა დროზე შეუდგა სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას. გამოყოფილი არიან კვალიფიციური მწვრთნელები. გუნდები ძირითადად დაკომპლექტებულია. სპორტის ზოგიერთ სახეობაში ჩვენ ჯერ კიდევ ვერა გვაქვს საქმე კარგად. ინსტიტუტს რომ შენარჩუნებოდა ფიზაღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი, რომელმაც რესპუბლიკას საკმაოდ მომზადებული კადრები მისცა, ცხადია, გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა. შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ფრენბურთის ვაჟთა, კალათბურთის ქალთა, აგრეთვე მძლეოსნობის ვაჟთა და ველოსპორტის გუნდების მომზადებაში.

არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ, რომ საშუალო სკოლების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებით არ ეკიდება ჩვენი თაობის სპორტული აღზრდის საქმეს. ეს, პირველ რიგში, უნდა ითქვას სოფლის ზოგიერთი სკოლების მიმართ, რაც ნათლად ჩანს იქიდან, რომ სტუდენტთა საგრძნობ ნაწილს პირველ და მეორე კურსებზე მშთ ნორმების შესრულებაც კი უძნელდებათ.

ჩვენი ინსტიტუტი, როგორც ყოველთვის, წელსაც მიიღებს მონაწილეობას სპარტაკიადაში. ვფიქრობთ, რომ მისი სპორტული კოლექტივი შესაფერის ადგილს დაიკავებს.

ვ. ქემხაძე,

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი.

## მატჩი კოლექტივებს შორის

3 აპრილს გორის პედინსტიტუტის სპორტთამაშობათა დარბაზში ჩატარდა ამხანაგური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში გორის პედინსტიტუტსა და მე-3 სამშენებლო ტრესტის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

მეტად საინტერესო შეხვედრა დამთავრდა პედინსტიტუტის წარმომადგენელთა გამარჯვებით ანგარიშით 10:1.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდი, რომელმაც ამ ამხანაგურ შეხვედრაში გაიმარჯვა, ემზადება სტუდენტთა თამაშებისათვის.

ლ. ურფანოვი,

გორის პედინსტიტუტის მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელი.



## მეტი კონკრეტულობა, მეტი ოპერატიულობა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს გააჩნია საკმაოდ მდიდარი სპორტული ტრადიციები და მომავალ აგრონომებს ხშირად ნახავთ სარაიონო, საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე, სადაც ბევრ მათგანს მაღალი შედეგები აქვს ნაჩვენები. ასე მაგალითად, გასულ წელს ვორონეჟში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების საკავშირო სპარტაკიადა, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს პირველი ადგილები, დაამყარეს საუწყებო რეკორდები.

რეგულარულად მუშაობენ კალათბურთის, ფრენბურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ფეხბურთისა და სხვა სექციები, აქ აღმოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს მშვილდოსნობის კულტივირებას.

ახლა, ისევე როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ინსტიტუტის სპორტული საზოგადოებრიობა სერიოზული გამოცდის წინაშე დგას. ეს სერიოზული გამოცდა — სტუდენტთა თამაშებია. და ვინაიდან იგი ტარდება არა ერთი შეჯიბრების სახით, არამედ ხანგრძლივად, ეტაპებით, შიდასაკოლექტივოდან — საკავშირომდე, საჭიროა დიდი ორგანიზებულობა და სისტემატურობა მუშაობაში; რომ სტუდენტთა თამაშების მთელი ეს ჯაჭვი განვლილ იქნას ყოველმხრივ მაღალ დონეზე.

რა თქმა უნდა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს არავინ მოთხოვს კომპლექსურ ჩათვლაში მოუგოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივებს. აქ არც საამისო კონტინგენტია და არც ძალები, მაგრამ ცალკეულ სახეობებში არის ამის შესაძლებლობა, რომ მოპოვებულ იქნას წამყვანი ადგილები და მინიმუმამდე შემცირდეს განსხვავება ამ ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. გარდა ამისა, თამაშებისათვის გაცხოველებით ემზადებიან სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც და ეს გარემოება აიძულებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტულ კოლექტივს სრულ მზადყოფნაში იყოლიოს თავისი გუნდები.

საინტერესოა, რა კეთდება ამ მიმართებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, როგორ ემზადებიან აქ სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშებისათვის?

მუშაობა სექციებში მიმდინარეობს. ინსტიტუტის სპორტული ბაზები უქმად არაა მიტოვებული, ყველგან წარმოებს მეცადინეობა დადგენილი ცხრილის მიხედვით, ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებლები და მწვრთნელები, როგორც ყოველთვის, სრული დატვირთვით საქმიანობენ სპორტსმენებთან.

მაგრამ ყველაფერი ეს ხდება ჩვეულებრივი წესით, როგორც უნდა წარმოებდეს სპორტული მუშაობა უმაღლეს სასწავლებელში. რომ არ ყოფილიყო კალენდარში სტუდენტთა თამაშები, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასევე იმუშავებდნენ ტანვარჯიშის, ჭიდაობის, კალათბურთისა და სხვა სექციები. ამისათვის არსებობს აქ ფიზიკური კულტურის ძირეული კოლექტივი, ფიზაღზრდის კათედრა, მასწავლებლები, აქტივისტები და სხვა.

მაგრამ კონკრეტულად, სპეციალურად თამაშებისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ბევრი არაფერი კეთდება, ინსტიტუტის სპორტული საზოგადოებრიობა ჩვეულებრივი, ყოველდღიური საქმიანობითაა გართული და არ იგრძნობა ის დაძაბულობა, ის საგანგებო გამოცოცხლება, რომელიც უნდა სუფევდეს ამ გადამწყვეტ პერიოდში.

ინსტიტუტში მოუთმენლად მოელიან სპორტკლუბის გახსნას მას მართლაც, ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ფიზაღზრდის კათედრას თავისი ძალებითა და სახსრებით ძალუძს მხოლოდ რამდენიმე სახეობაში იყოლიოს მწვრთნელები სექციებში სამუშაოდ, მთელ რიგ სახეობებში კი მწვრთნელთა მოსაწვევად თანხება არ ყოფნის. საზოგადოებრივი კადრები მართალია, შეძლებისდაგვარად გამოყენებულია, მაგრამ მაღალი თანრიგის სპორტსმენებთან სამუშაოდ საჭიროა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელები, რომლებიც სრული პასუხისმგებლები იქნებიან სპორტსმენთა აღზრდასა და მომზადებაზე, მათს შედეგებზე სხვადასხვა შეჯიბრებებში. ახლადშექმნილ სპორტკლუბს ექნება საშუალება იყოლიოს გამოცდილი მწვრთნელები და, რასაკვირველია, საქმეც წინ წავა.

არის სხვა, ერთის შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ხარვეზებიც, მაგრამ მათი აღმოფხვრა საჭიროა უმოკლეს ხანში, რათა სპორტსმენს ყველა პირობა გააჩნდეს ნაყოფიერი წვრთნისათვის. მაგალითად, ტანვარჯიშული დარბაზი არ არის სათანადოდ აღჭურვილი იარაღებით, იგრძნობა ინვენტარის სიმცირე. ინსტიტუტს ჰყავს ჭიდაობის ჩინებული სექცია, მაგრამ მისი სამეცადინო ოთახი პატარაა, ლეიბები ძველი, მათი საფენი მხოლოდ ერთია, რომლის გარეცხვის დროს ლეიბები შიშველ მდგომარეობაში რჩება.

ჩვენის აზრით, დირექციამ მეტი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს ფიზიკური კულტურის კოლექტივს თამაშებისათვის მზადებაში. საჭიროა მეტი კონკრეტულობა, მეტი ოპერატიულობა ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში წარმატების მოპოვებისათვის.

რ. ქორიძე

• • •

**სპორტული სექციების მეცადინეობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. სურათზე: პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშე ს. ჩუბინიძე ასრულებს ჩამოხტომს რგოლებიდან.**

**ფოტო დ. იაკობაშვილისა.**

## გამოწვევა მიღებულია

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის მოწოდებამ სოფლად ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის სპორტული ბაზების შექმნისა და კეთილმოწყობის შესახებ ფართო, მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის „განთიადის" ახალგაზრდა კოლმეურნეთა და ფიზკულტურელთა შორის. მოწოდება გულდასმით იქნა განხილული ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში, კოლმეურნეობის გამგეობასა და პარტიულ ორგანიზაციაში. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ახალაიამ, პარტიული და კომკავშირული კომიტეტების მდივნებმა, ფიზკულტურის აქტივისტებმა და კოლმეურნე-სპორტსმენებმა რუხელთა ინიციატივასთან დაკავშირებით ბევრი საჭირბოროტო, გადაუდებელი საკითხები წამოჭრეს სერგიეთში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლასთან და სოფლად კეთილმოწყობილი, დიდი სპორტული ბაზის შექმნასთან დაკავშირებით. გადაწყდა სათანადოდ გამოხმაურებოდნენ რუხის კოლმეურნეობის ღირსშესანიშნავ თაოსნობას და დაუყოვნებლივ, პრაქტიკულად შედგომოდნენ სოფლად დიდი სპორტული ბაზის შექმნისათვის სამზადისს.

სერგიეთელ სპორტის მოყვარულთა სიტყვა და საქმე ერთი აღმოჩნდა. უკვე მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნების, 400 მეტრიანი სარბენი ბილიკის, მძლეოსნური სექციების, ტანვარჯიშული ბაქანისა და საჭიდაო ასპარეზის შექმნას. ახალი სპორტული ბაზა კოლმეურნე ახალგაზრდობაში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლის მძლავრი საფუძველი იქნება.

დღეისათვის სტადიონი უკვე შემოკავებულია, შესრულებულია სამუშაოთა 30 პროცენტზე მეტი, მშენებლობა უზრუნველყოფილია მასალით და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომკავშირული, ფიზკულტურული აქტივი, მოსახლეობის ფართო ფენა.

ი. კიზირია,

სპორტის დამსახურებული ოსტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძლეოსანთა პირველი სტარტები



# სასარგებლო ღონისძიება

## საქართველოს საგაზაფხულო პირველობა მძლეოსნობაში

ბათუმში დამთავრდა რესპუბლიკური საგაზაფხულო შეჯიბრება მძლეოსნობაში. წინა წლებისაგან განსხვავებით ეს შეჯიბრება მოეწყო ორ ჯგუფად ოთხ ასაკობრივ კატეგორიას შორის. ყოველი ჯგუფი დაკომპლექტებული უნდა ყოფილიყო 13-14, 15-16 წლის ბიჭებისა და გოგონებისაგან, 17-18 წლის მოზარდებისა და უფროსი ასაკის მძლეოსნებისაგან.

შეჯიბრება ჩატარდა ორგანიზებულად. ზუსტად და შეუცდომლად მუშაობდა მსაჯთა აპარატი. ამინდიც ხელს უწყობდა მძლეოსნებს, მაგრამ მას მაინც ჰქონდა ხარვეზები. მეორე ჯგუფში, სადაც პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 17 რაიონი, აგრეთვე გორისა და რუსთავის კოლექტივები, 270 მძლეოსნიდან მხოლოდ 105-მა სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმატივი. ამასთან არ იქნა ნაჩვენები არც ერთი პირველი თანრიგის შედეგი, ხოლო მეორე თანრიგის ნორმატივი აჩვენა მხოლოდ 5-მა სპორტსმენმა. ამ ჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა ხაშურის (მწვრთნელი ზანიერი) კარგად მომზადებული გუნდი, რომელმაც დააგროვა 8342 ქულა. მას 19 ქულით ჩამორჩა ზუგდიდის კოლექტივი, მესამე ადგილი წილად ხვდა სამტრედიის გუნდს. ისეთი დიდი ქალაქები, როგორიც არის გორი და რუსთავი, გამოვიდნენ მხოლოდ მეოთხე-მეხუთე ადგილებზე. საინტერესოა, რატომ არ იზრდებიან ამ ქალაქებში მძლეოსნები იმ დროს, როდესაც მათ აქვთ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები? პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი — აქ ფიზკულტურულ კოლექტივებში ცუდად არის დაყენებული მძლეოსნებთან მუშაობის საქმე. სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები არ აქცევენ მათ ყურადღებას და არ უწევენ დახმარებას, არ ეხმარებიან მათ აგრეთვე ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტები. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ბრძანების მიხედვით კი პერსონალური პასუხისმგებლობა მძლეოსნობის მდგომარეობის შესახებ ქალაქებში ეკისრებათ კომიტეტების თავმჯდომარეებს (ამ შემთხვევაში — მეყანწიშვილსა და ყაოლაშვილს).

მეორე ჯგუფის სხვა გუნდებიდან სუსტად გამოიყურებოდნენ თელავის, გურჯაანის, ცხაკაიას, ჭიათურის, ახალქალაქის, წყალტუბოსა და ტყიბულის კოლექტივები. შეჯიბრების პროცესში გამოვლინდნენ ნიჭიერი მძლეოსნები ნ. ჩოჩიშვილი, ნ. ჯოზაძე (ხაშურიდან), ი. მხეიძე, ვ. აბრამიშვილი (გორიდან) და სხვ. სუსტად მომზადებულები აღმოჩნდნენ ის მძლეოსნები რაიონებიდან, რომლებიც საქართველოს ნაკრებში შედიან: ვ. ქაძანაია (ზუგდიდი), გ. ერქომაიშვილი (მახარაძე), ლ. სტურუა (სამტრედია), ა. ოგანეზოვი (ბორჯომი), ლ. თოფჩიშვილი (გორი).

გაცილებით უკეთესი შედეგები იქნა ნაჩვენები პირველ ჯგუფში, სადაც მონაწილეობდა რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესი მძლეოსანი. აქ 301 მძლეოსნიდან 11-მა აჩვენა პირველი თანრიგის და 103-მა მეორე თანრიგის ნორმატივი. გუნდური პირველი ადგილი დამაჯერებლად მოიპოვა თბილისის ნაკრებმა. მოულოდნელი გამოდგა აფხაზეთის სპორტსმენთა მეტად სუსტი გამოსვლა. მათ მეორე ადგილი დაუთმეს აჭარის წარმომადგენლებს. პროგრამის 27 სახეობიდან (მოზრდილთა შორის) აფხაზეთის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა ოჩამჩირელმა ბ. კარნაცკიმ დაიკავა პირველი ადგილი 400 მეტრზე რბენაში. მოზარდთა შორის აფხაზეთის მხოლოდ 2-მა მძლეოსანმა დაიკავა პირველი ადგილი. შეჯიბრებისათვის ცუდად იყვნენ მომზადებულნი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები ვ. ალექსანდროვი, მ. კრაინიუკოვა, ი. წულუკიძე (მწვრთნელი ა. კერსელიანი), ვ. ივანოვი (მწვრთნელი კრიუჩკოვი), გუნდის შემადგენლობაში რატომღაც არ იყო ვ. ზახაროვი. აფხაზეთის ფიზკულტურის კომიტეტის მიზეზით გუნდი შეჯიბრებაზე ჩამოვიდა ყველაზე გვიან, გახსნის წინა ღამეს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა აჭარის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა ლ. ტულუშმა ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში. კარგ ფორმაშია მ. ტულუშიც (მწვრთნელი ი. ბეზროდნი). შედარებით სუსტი შედეგი აჩვენა სიგრძეზე ხტომაში რესპუბლიკის რეკორდსმენმა ლ. გურგენიძემ (მწვრთნელი ა. კუკი).

შეჯიბრებაზე კარგი მაჩვენებლებით გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები ლ. იევლევა 100 მეტრზე რბენაში — 12,7 და სიგრძეზე ხტომაში — 5 მ. 43 სმ., რ. ქვაჩახიძე სიგრძეზე ხტომაში—7,01 მ (მწვრთნელი კონსტანტინოვი), ა. ოვივიანი 200 მეტრზე რბენაში — 26,4 (მწვრთნელი ე. გოკიელი), ი. დიაჩკოვი თარჯრბენში 110 მ — 14,9 (მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი), ვ. ივანოვი 800 და 1500 მ რბენაში (მწვრთნელი ვ. ნედაშკოვსკი), ლ. შაგოვი შუბის ტყორცნაში (მწვრთნელი ვ. შმაკოვი), ბ. ტალხანოვი და ვ. კოვალენკო უროს ტყორცნაში (მწვრთნელი ნ. დევდარიანი), გ. გოდერძიშვილი 5000 მ. და დაბრკოლებებით 3000 მ რბენაში (მწვრთნელი ვ. ვაშაკიძე), გ. შავთვალაძე ბირთვის კვრაში (მწვრთნელი შ. კილაძე) და სხვ.

ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთი ჩვენი წამყვანი მძლეოსანი თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა. ესენი არიან ა. მჭედლიშვილი და ნ. კალანდაძე (მწვრთნელი ვ. ნედაშკოვსკი), გ. ჩადუნელი, ვ. ბლიაძე, ე. ნოზაძე, ი. ლორია (მწვრთნელი შ. კილაძე), გ. ბრიტვინა (მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი) და ა. შ.

**ა. არხანგელსკი,**
**სახელმწიფო მწვრთნელი მძლეოსნობაში.**

## საქართველოსა და ლიტვის მძლეოსანთა ტრადიციული შეხვედრა

ორი მოძმე რესპუბლიკის — ლიტვისა და საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრამ, ბათუმელ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრების დღეებში „დინამოს“ ზღვისპირა სტადიონი ყოველთვის ხალხით იყო სავსე. შეხვედრის ნორმალურად ჩატარებას ხელი შეუწყო შეჯიბრების კარგმა ორგანიზაციამ და მზიანმა ამინდებმა, რომელმაც შეცვალა საკმაოდ ხანგრძლივი ავდარი შეჯიბრების წინა დღეებში.

პროგრამის მიხედვით სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძლეოსნობის 29 სახეობაში და მცირედი გამონაკლისის გარდა, ბრძოლა მეტად მძაფრ ხასიათს ატარებდა. საკმარისია ითქვას, რომ ორი დღის მანძილზე ლიდერობა ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ იგდო ხელთ და უძლიერესი მხოლოდ უკანასკნელმა სახეობამ გამოავლინა. როდესაც მძლეოსნები სტარტს იღებდნენ სპრინტერულ დისტანციებზე — ყველასათვის ცხადი იყო, რომ გამარჯვება საქართველოს წარმომადგენლებს დარჩებოდათ, ხოლო საშუალო ან სტაიერულ მანძილებზე აშკარად იგრძნობოდა სტუმრების უპირატესობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლიტველებმა წინა წლებთან შედარებით გაცილებით გააუმჯობესეს მდგომარეობა სპრინტში. ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნებმა კი შედარებით ნაკლებად — საშუალო და გრძელ დისტანციებზე რბენაში.

აი მაგალითად: 200 მეტრზე რბენაში რ. ტრაპაიძემ და ა. ქიდონასმა ერთნაირი დრო აჩვენეს — 22,4. ლიტველი მეორე ადგილზე გამოვიდა იმიტომ, რომ ფინიშთან იგი მკერდით უკან იყო ტრაპაიძეზე. ამავე დისტანციაზე ქალთა შორის შედეგები საკმაოდ მჭიდრო გამოდგა: ა. ოვივიანი — 25,8, ნ. დვალიშვილი — 25,9, ა. ბუშმენე — 26,0, ლ. ზაიკინა — 26,1. სამაგიეროდ საშუალო და გრძელ დისტანციებზე სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო. ვერც ერთი ჩვენი მძლეოსნის შედეგი ახლოს ვერ მივიდა ლიტველთა მაჩვენებლებთან.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სამატჩო შეხვედრა მოიგო საქართველოს გუნდმა — 159,5:156,5, მაგრამ სამწუხაროდ, ეს გამარჯვება არ არის დამაჯერებელი და აი რატომ: ვაჟთა ესტაფეტაში 4X100 მ. სტუმრებმა ერთ-ერთ ეტაპზე დაარღვიეს წესი და მიიღეს ნული შეფასება. ეს რომ არ მომხდარიყო, რა დროშიაც არ უნდა გაერბინათ ლიტველებს მანძილი, მიიღებდნენ 6 ქულას და ჩვენს გუნდს 3 ქულით გაუსწრებდნენ.

ამას გარდა, შედეგები სტუმრებს გაცილებით უკეთესი ჰქონდათ, ვიდრე მასპინძლებს. ლიტვის მძლეოსნებმა ჯერ ერთი 4 რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესეს. აქედან სამი მოზრდილებს შორის და ერთი მოზარდებში. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა პირველთანრიგოსანმა ი. მოზურამ შუბის ტყორცნაში—72 მ 79 სმ, ა. ვარანაუსკასმა ბირთვის კვრაში—16 მ. 87 სმ, ამავე სახეობაში (ქალებში) —ა. იზგანაიტიტემ—13 მ 74 სმ. სამივე შედეგი ლიტვის ახალი რეკორდებია. გოგონათა რესპუბლიკურ რეკორდი გააუმჯობესა 80 მეტრზე თარჯრბენში 15 წლის ა. მასკალიუნაიტემ — 11,5. ამასთან ლიტველი მხოლოდ მკერდით ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს თარჯრბენელს რ. ქოჩლაძეს და მეორე ადგილი დაიკავა. ახალი რესპუბლიკური მიღწევით დაამთავრა შეჯიბრება საქართველოს წარმომადგენელმა ლ. შაგოვმა შუბის ტყორცნაში— 64 მ 35 სმ. შაგოვს 65 სანტიმეტრი დააკლდა პირველი თანრიგის ნორმატივის ჩვენებამდე და მაშინ ეს მიღწევა რესპუბლიკურ რეკორდად გადაიქცეოდა.

მეტად მაღალი შედეგი აჩვენა ლიტველმა ბადროსმტყორცნელმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ა. ბალტუშნიკასმა—54 მ. 44 სმ, შუბისმტყორცნელმა ქალმა ბ. ზალოგაიტიტემ — 51 მ. 10 სმ. და ახალგაზრდა ლ. იევლევამ (საქართველო) —სიგრძეზე ხტომაში—5 მ. 68 სმ. კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ჭოკითმხტომელებიც. არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოს მძლეოსანთა ოსტატობა არ იზრდება. ზრდა, სხვათა შორის, ეტყობა საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენლებსაც, მაგრამ ტემპები არ არის ისეთი, როგორსაც მოითხოვს მძლეოსნობის თანამედროვე დონე.

ჩატარებული სამატჩო შეხვედრა საქართველოს მძლეოსანთა მზადყოფნის პირველი სერიოზული შემოწმება იყო და მან დადებით მხარეებთან ერთად ზოგიერთი ნაკლოვანებაც გვიჩვენა. აი ერთი მათგანი. ჩვენს გუნდში, უმეტესად მაღალი კლასის სპორტსმენები არიან პირველი ნომრები. ძალზე იშვიათად თუ გამოდიოდა ერთ სახეობაში ორი თანაბარი სიძლიერის მძლეოსანი. სტუმრებთან მდგომარეობა ასე როდი იყო. ლიტველებს ყოველ სახეობაში ჰყავდათ ორი ერთნაირი ძალის სპორტსმენი. მათი შედეგების სხვაობა იშვიათად თუ იყო საგრძნობი. ასე მაგალითად, შუბის ტყორცნაში მოზურას შედეგის (72 მ. 79 სმ.) გვერდით იდგა მეორე ნიჭიერი მძლეოსნის ვ. კალედას საკმაოდ კარგი მაჩვენებელი — 66 მ. 70 სმ.

სპრინტერული რბენა 100 მეტრზე (ვაჟებში) მოიგო საქართველოს წარმომადგენელმა ლ. ანთაძემ შედეგით — 10,8. მეორე ადგილზეც ჩვენი მძლეოსანი ე. ლომთაძე (10,9) გამოვიდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღეს სპრინტში არც 10,8 და არც 10,9 არ არის „ნამდვილი“ შედეგი, ისევე, როგორც ქალებში 12,5 და 12,7. ლ. სანაძისა და ნ. დვალიშვილის სარეკორდო შედეგების შემდეგ (10,3 და 11,7) ისეთი მაჩვენებლები, როგორითაც იგებენ შეჯიბრებას ჩვენი მძლეოსნები, არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენ ამით ერთი წუთითაც არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ იმ სპორტსმენების ამაგს, რომლებმაც მეტად საჭირო ქულები მოუტანეს გუნდს, მაგრამ გვსურს შევახსენოთ მათ—საკავშირო შეჯიბრებებში ასეთი მაჩვენებლები უკვალოდ დაიკარგება ისე, როგორც წვეთი ზღვაში.

იგივეს თქმა შეიძლება ჩვენს მტყორცნელებზე. ექსიც ცდა, რომელიც შეჯიბრების პროცესში ეძლევა სპორტსმენს, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მან გამოავლინოს მთელი შესაძლებლობა. შემთხვევითობა აქ, რა თქმა უნდა, გამორიცხულია. და თუ საქართველოს მტყორცნელთა შედეგები სეზონის დასაწყისში არ არის მაინცდამაინც მაღალი, ეს იმიტომ, რომ ჯერჯერობით ისინი მზად არ არიან. შესაძლებლობა კი მათ გაცილებით მეტი აქვთ. ვ. ბლიაძისათვის ბირთვის კვრაში 14 მ 53 სმ შეუფერებელი შედეგია, იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა გ. შავთვალაძისათვის 14-მეტრიანი ზღვარი არც თუ ისე სამარცხვინოა. როგორც ცნობილია, სიმაღლეზე მხტომელებს აეკრძალათ სქელძირიანი ფეხსაცმლის ხმარება. დღეს ხტომა არ შეიძლება ისეთი ფეხსაცმლით, რომლის ძირის სისქე 12,5 მილიმეტრს აღემატება. ამან ერთგვარად შეარყია მხტომელთა პოზიციები— ისინი ჯერჯერობით ვერ შეეჩვივნენ ნორმალური, ჩვეულებრივი ძირის მქონე ფეხსაცმლით ხტომას. რამაც თავისი დაღი დაასვა შეჯიბრების მონაწილეთა შედეგებსაც.

* * *

ქვემოთ მოგვყავს გამარჯვებულ სპორტსმენთა ტექნიკური შედეგები: **ქალები — 100 მ.** ა. ოვივიანი (საქართველო) — 12,5, **200 მ.** — ა. ოვივიანი — 25,8, **400 მ.** — ლ. ზაიკინა (ლიტვა) — 58,4, **800 მ.** — ე. ქიურიტე (ლიტვა)—2.18,4, **80 მ. თარჯრბენი** — რ. ქოჩლაძე (საქართველო) — 11,5, **სიმაღლეზე ხტომა** — ს. როზანოვა (საქართველო) — 1 მ. 55 სმ., **სიგრძეზე ხტომა** — ნ. დვალიშვილი (საქართველო) — 5,73, **ბადრო** — ი. ვეიკალაიტე (ლიტვა) — 43 მ. 68 სმ, **შუბი** — ბ. ზალოგაიტიტე (ლიტვა) — 51 მ. 10 სმ, **ბირთვი** — ა. იზგანაიტიტე (ლიტვა) — 13 მ. 74 სმ, ესტაფეტა 4X100 მ. — საქართველო — 49.2.

**ვაჟები** — **100 მ.** ლ. ანთაძე (საქართველო) — 10,8, **200 მ.** რ. ტრაპაიძე (საქართველო) — 22,4, **400 მ.** ა. ქიდონისი (ლიტვა) — 50,0; **800 მ.** გ. ასტრაუსკასი (ლიტვა) — 1.53,2, **1.500 მ.** ი. პიპინე (ლიტვა) — 3.56,0. **5.000 მ.** ი. პიპინე — 14.39,0, **თარჯრბენი 110 მ.** — მ. ტულუში (საქართველო) — 14,9, **თარჯრბენი 200 მ.** რ. ტრაპაიძე (საქართველო) — 25,0, **სიმაღლეზე ხტომა** — რ. ლოხოვი (საქართველო) — 1 მ. 90 სმ., **სიგრძეზე ხტომა** — ა. ჩერნიაუსკასი (ლიტვა) 7 მ. 12 სმ. **ჭოკით ხტომა** — ვ. ვენცვევიჩი (საქართველო) — 4 მ. **სამხტომი** — ვ. ჩხეიძე (საქართველო) — 14 მ. 53 სმ. **ბადრო** — ა. ბალტუშნიკასი (ლიტვა) — 54 მ. 44 სმ. **ბირთვი** — ა. ვარანაუსკასი (ლიტვა) — 16 მ. 87 სმ. **შუბი** — ი. მოზურა (ლიტვა) — 72 მ. 79 სმ. **ურო** — ვ. კოვალენკო (საქართველო)—58 მ. 48 სმ. **სიარული 20 კმ** — ა. მიკენასი (ლიტვა) — 1:35.27,6. ამანათრბენი 4X100 მ. — საქართველო — 43,0.

**ლ. გიორგაძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი,**
**ნ. გუგუშვილი.**

* * *

**სურათზე:** ქალთა ამანათრბენის მონაწილენი დისტანციაზე. მარცხნიდან ა. ოვივიანი აწვდის ამანათს ნ. დვალიშვილს.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

# გათამაშება დამთავრდა

„ბ“ კლასის კალათბურთელთა საკავშირო პირველობის უკანასკნელი დღის მატჩები კვლავ სუსტად ჩაატარეს ჩვენი რესპუბლიკის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა გუნდი შეხვდა ყაზახეთის კალათბურთელებს. ქართველმა სტუდენტებმა ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის იერიშების უვნებელყოფა და დამარცხდნენ დიდი ანგარიშით — 40:71, რითაც დაკარგეს საპრიზო ადგილზე გამოსვლისა და „ა“ კლასში თამაშის უფლება. წარუმატებლად გამოვიდა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდი, რომელმაც წააგო შეხვედრა ლატვიასთან — 60:68.

ამრიგად, დამთავრდა „ბ“ კლასის კალათბურთელთა საკავშირო პირველობა, სადაც ადგილები ასე განაწილდა: **ქალები**—1. ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი; 2. ოდესა; 3. ყაზახეთი; 4. მოლდავეთი; 5. ყირგიზეთი; 6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 7. აშხაბადი; 8. პენზა; 9. ერევანი; 10. ლიტვა და ა. შ.

**ვაჟები**—1. კიევი; 2. ლენინგრადი; 3. ესტონეთი; 4. ბაქო; 5. მოსკოვი; 6. ერევანი და ა. შ.



სურათზე: მარცხნიდან — ინგლისელი ალპინისტი ჩარლზ ევანსი, ცნობილი ქართველი ალპინისტი ი. მარი, ჩარლზ ევანსის მეუღლე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჯაფარიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება ცნობილი ინგლისელი ალპინისტი, ევერესტისა და კანგჩენჯანღას გმირი ჩ. ევანსი თავისი მეუღლით. სტუმრები იმყოფებოდნენ მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში, საიდანაც მათ კურსი თბილისისაკენ აიღეს.

8 აპრილს თბილისის აეროპორტის ვაგზალზე ჩარლზ ევანსს შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული წრეების წარმომადგენლები, ალპინისტური საზოგადოებრიობა, პრესის მუშაკები. იმავე დღეს სტუმრები დიდი ინტერესით გაეცვნენ დოკუმენტურ ფილმებს „პამირის უმაღლეს მწვერვალზე", „მოსკოვის პიკი" და „შვიდი მწვერვალის დამპყრობნი", რომლებშიც ასახულია ქართველი ალპინისტების ლაშქრობის ეპიზოდები, აგრეთვე სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს — „საბჭოთა საქართველო".

გუშინ, 9 აპრილს, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურმა კლუბმა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაწყო შეხვედრა ჩარლზ ევანსთან. დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ევანსის საინტერესო მოხსენება — „ასვლა კანგჩენჯანღაზე" და ინახულეს დოკუმენტური ფილმი — „ბრიტანეთის ექსპედიცია კანგჩენჯანღაზე".

დღეს ევანსი თბილისიდან მიემგზავრება.

## სამი ახალი ოსტატი

მოსკოვის სპორტულ საზოგადოებრიობაში უდიდეს ინტერესს იწვევდა ფინალური შეხვედრები [illegible] სსრ კავშირის პირველობაზე. მრავალი გამოცდილი [illegible] დამარცხებული იყო ახალგაზრდებთან უთანასწორო მწვავე ბრძოლაში დამარცხებული წასულიყო რინგიდან.

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში იყო აღნიშნული, საქართველოს მოკრივეთაგან გამარჯვებები მოიპოვეს ა. კოლესნიკოვმა, ს. ჩატულიდმა და გ. ბუმბიაშვილმა. მათ სამივემ შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა.

ნახევარფინალურ შეხვედრებში ჩვენი რესპუბლიკის სამივე მოკრივე დამარცხდა. ჩატულიდმა დაძაბულ ბრძოლაში წააგო ევროპის ჩემპიონ ო. გრიგორიევთან (მოსკოვი), ბუმბიაშვილს მოუგო მოსკოველმა ბ. ნიკანოროვმა, ხოლო კოლესნიკოვის შეხვედრა ვ. ვოროზიოვთან (მოსკოვის ოლქი), დამთავრდა ვოროზიოვის გამარჯვებით.

გუშინ შედგა შეხვედრები პირველი-მეორე ადგილებისათვის.

## საპრიზო ადგილებზე

მინსკში დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1958 წლის საუწყებათაშორისო პირველობა ჭიდაობა „სამბოში", რომელშიც მონაწილეობდნენ „დინამოს", „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვების", საქართველოს „კოლმეურნეს" და „განთიადის" ცენტრალური საბჭოებისა და სხვა ნაკრები გუნდები.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებმა გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა „დინამოს" მოჭიდავეთა გუნდი, მესამეზეა — თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის კოლექტივი. საქართველოს „კოლმეურნის" გუნდმა დაიკავა მეოთხე ადგილი, ხოლო „განთიადმა" — მეხუთე.

შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები დაიკავეს ლ. კაციაშვილმა, ზ. მუხიაშვილმა (ორივე „კოლმეურნე"), მ. ელერდაშვილმა („განთიადი"), სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა ვ. ბარათაშვილმა („განთიადი").

უნდა ითქვას, რომ უძლიერესთა ასპარეზობა არასახარბიელო გამოდგა გასული წლის ჩემპიონებისათვის, რომელთაც ეს საპატიო ტიტული ახალგაზრდებს გადაულოცეს. მხოლოდ სამმა სპორტსმენმა შეძლო ჩემპიონის სახელის დაცვა. ესენი არიან ბურევესტნიკელები გ. შულცი (ქვემძიმე წონა) თ. ელერდაშვილი (ქვემსუბუქი წონა) და ე. გლარიოზოვი (ქვესაშუალო წონა).

# ფეხბურთი

## კიდევ ერთი ქულა

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 9 აპრილი.

„ტორპედო" (მოსკოვი)—„კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — 2:2 (1:0).

„ტორპედო": დენისენკო; მედაკინი, მარენკო, ოსტროვსკი; ანისიმოვი, სენიუკოვი; მეტრეველი, ივანოვი, სტრელცოვი, ფალინი, გუსაროვი (არბუტოვი).

„კრ. სოვეტოვი": მიგალევი; მაზეპოვი, კოლცოვი, მაქსიმოვი; კარპოვი, კირში; რედკინი, მოისეევი (შირიაევი), გუზიკი, ნოვიკოვი, დორონინი.

მსაჯი პ. გავრილოვი (სოჭი).

... „კრილია სოვეტოვის" მცველთათვის მეტად ძნელი აღმოჩნდა ბრძოლა მოსკოველთა „სამი მუშკეტერის" წინააღმდეგ — სტრელცოვი, ივანოვი და მეტრეველი ხშირად არღვევდნენ ვოლგელთა დაცვის ხაზს მარჯვენა ფლანგზე. რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო მეკარე მიგალევმა, მაგრამ მეტრეველის მიერ 22-ე წუთზე შესანიშნავად დარტყმული ბურთის აღება შეუძლებელი იყო. ანგარიში გაიხსნა.

შესვენების შემდეგ, 50-ე წუთზე გუზიკმა მარჯვენა მხრიდან დაჰკიდა ბურთი კართან. დენისენკო ვერ მიწვდა მას და რედკინმა ახლო მანძილიდან გაიტანა საპასუხო გოლი — 1:1. ამან მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა თამაშში. კუიბიშეველებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და სწრაფი გარემარბების აქტივობის წყალობით რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს „ტორპედოს" კართან.

მე-15 წუთზე სტრელცოვმა მიიღო ბურთი, გავიდა მარჯვენა ფრთაზე და მეტად ძნელი მდგომარეობიდან ოსტატური გოლი გაიტანა კარის მაღალ კუთხეში. ეს იყო მოსკოველთა უკანასკნელი წარმატება. 30-ე წუთზე მედაკინმა სრულიად მარტივ სიტუაციაში ხელით ითამაშა და კარპოვმა ზუსტად გამოიყენა პენალტი — 2:2.

ამის შემდეგ ივანოვი მსაჯთან შეკამათებისათვის გაძევებულ იქნა მინდვრიდან, მეტრეველი გამოეთიშა ბრძოლას და „ტორპედოს" თამაშს ქაოტიური ხასიათი მიეცა. „კრილია სოვეტოვმა" მოიგერია მოსკოველთა ყველა იერიში და მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

* * *

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს ტორპედოელებმა — 2:1.

## დუბლიორთა მატჩები

გასულ კვირას შედგა თბილისის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების დუბლშემადგენლობათა კალენდარული მატჩი.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „კრილია სოვეტოვმა".

* * *

გუშინ „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში, ითამაშეს მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" დუბლიორებმა.

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 აპრილისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" | 4 | 1 | 3 | 0 | 8:6 | 5 |
| „ლოკომოტივი" | 3 | 1 | 2 | 0 | 3:0 | 4 |
| „დინამო" კ. | 3 | 1 | 2 | 0 | 9:5 | 4 |
| „სპარტაკი" | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 4 |
| „დინამო" მ. | 3 | 1 | 1 | 1 | 6:2 | 3 |
| „კრ. სოვეტოვი" | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ცსკ მო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 2 |
| „დინამო" თბ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3:7 | 2 |
| „შახტიორი" | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 2 |
| „ზენიტი" | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| „მოლდოვა" | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| „ადმირალტეეცი" | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |

## საქართველოს პირველობა

6 აპრილს დაიწყო საქართველოს 1958 წლის პირველობა ფეხბურთში.

თბილისში, „ბურევესტნიკის" სტადიონზე თამაშობდნენ გასული წლის ჩემპიონი — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი და ქუთაისის „დინამო". თამაში მოიგეს ტრამვაელებმა ანგარიშით 2:1.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა მიიღო სოხუმის „დინამო". მატჩი მოიგეს სტუდენტმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშში ორივე გუნდმა ვერ გამოიყენა თითო 11-მეტრიანი დარტყმა.

სტალინირში შედგა შეხვედრა ადგილობრივ „სპარტაკსა" და გორის „განთიადს" შორის. სტუმრებმა ორი „მშრალი" ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

რუსთავში საზეიმო ვითარებაში დაიწყო მიმდინარე წლის ფეხბურთის სეზონი. ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდი (თბილისი) შეხვდა ადგილობრივ „მეტალურგს". მასპინძლები მოწინააღმდეგეზე ფიზიკურად ძლიერნი აღმოჩნდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ამ დღეს ქობულეთში თამაშობდნენ თელავის „სპარტაკი" და ადგილობრივი „კოლმეურნე". სპარტაკელებმა მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 3:1.

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ლანჩხუთის „კოლმეურნე". უინტერესო თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით—1:0.

ზუგდიდის „ოდიშმა" თავის მინდორზე მიიღო ჭიათურის „მეტალურგი". შეხვედრის ანგარიშია 2:2.

დიდი აღმავლობით ჩაატარა მატჩი საკუთარ მინდორზე ქუთაისის „ტორპედომ" და დაამარცხა სამტრედიის „ლოკომოტივი" ანგარიშით 3:1.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაში რუსთავში ადგილობრივ „სხივსა" და ბათუმის „დინამოს" შორის. ანგარიშია 1:1.

## ჩემპიონის სახელისათვის

## ლიდერობენ მ. ტოგონიძე და ა. ჩაიკოვსკაია

სამი ტურის შემდეგ რესპუბლიკის ჩემპიონატს სათავეში ჩაუდგნენ თბილისის ჩემპიონი მ. ტოგონიძე და ბათუმელი ა. ჩაიკოვსკაია, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს. ლიდერებს კვალდაკვალ მისდევენ ლ. ხაჭაპურიძე, გ. აბროსიმოვა (2,5 ქულა თვითეულს) და ე. კაკაბაძე (1,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია). ამ მოჭადრაკეების მიერ აღებული ტემპი ძალზე დიდია. ამიტომ ლიდერთა ყოველი პარტიის მნიშვნელობა საგრძნობლად მატულობს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ლიდერები კარგ სპორტულ ფორმაში იმყოფებიან. განსაკუთრებით ეს ითქმის მ. ტოგონიძის, ა. ჩაიკოვსკაიას, ლ. ხაჭაპურიძისა და გ. აბროსიმოვას შესახებ. საქართველოს ჩემპიონი ე. კაკაბაძე ჯერ ვერ ატარებს პარტიებს მისთვის ჩვეული ენერგიით. ეს კი ხანგრძლივი პრაქტიკის უქონლობის მიზეზია.

დინჯად მიიწევს წინ ქ. გოგიავა. საინტერესო იყო მისი პარტია ჩაიკოვსკაიასთან. კომბინაციის (ეტლის შეწირვა) განხორციელებით მან ძლიერი იერიში განავითარა. მაგრამ ერთმა არასწორმა სვლამ დააკარგვინა „ოფლით" მოპოვებული. გოგიავა ყოველ პარტიაში იბრძვის მხოლოდ გამარჯვებისათვის, რაც გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ იგი უწინდებურად აქტიურად ჩაებმება ლიდერთა ბრძოლაში.

წარუმატებლად დაიწყო ტურნირი ნიჭიერმა ქუთაისელმა მოჭადრაკემ გ. ბუცხრიკიძემ, რომელმაც სამივე პარტია წააგო. ჩვენის აზრით, მის თამაშს აკლია სიმწვავე, პოზიციურ ბრძოლას კი იგი ჯერ ვერ არის დაუფლებული.

შეუპოვრად თამაშობენ მ. ჩომახიძე და ც. სამსონია, რომლებიც ისე, როგორც ე. ხუბუა და თ. ბერიშვილი, პირველად იბრძვიან რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის. გოგონებს ახასიათებთ სიდინჯე და მუყაითობა. ისინი სადებიუტო სისტემებშიც გარკვეულნი არიან. ამიტომ მათ პარტიებში ხშირად საინტერესო მომენტები იქმნება.

ბრძოლა გრძელდება...

თ. გიორგაძე

### ჩემპიონატის ყველაზე პატარა მონაწილენი



ც. სამსონია



ე. ხუბუა

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3 89 62. პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90 34, მორიგესა და გამომშვებების — 3-01 06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02521